

მოსმენის უნარ-ჩვევაზე მუშაობის პრობლემატიკა და მისი დაძლევის
ხერხები გერმანული ენის გაკვეთილზე საქართველოში. დაწყებითი
საფეხური

ნინო კალანდაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე გერმანული ენის დიდაქტიკაში
განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის საგნის/ საგნობრივი
ჯგუფის მასწავლებელი (საგნობრივი მიმართულება -გერმანული ენა)

სამეცნიერო ხელმძღვანელი : პროფესორი ეკატერინე შავერდაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო კალანდაძე

23.06.2017

მადლობა

ეკატერინე შავერდაშვილს, ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, რომლის მითითებები ყოველთვის მეხმარებოდა მუშაობის პროცესში. მისი შენიშვნებით და რეკომენდაციებით ვცდილობდი უფრო სრულყოფილი გამეხადა სამაგისტრო ნაშრომი. მადლობა მას იმისთვის, რომ ყოველთვის მაძლევდა მოტივაციას და სჯეროდა ჩემი შესაძლებლობების.

ნათია ანდლულაძეს, რომელიც მუდამ მზად იყო რჩევების მოსაცემად და რომლის სალექციო კურსზე მიღებული ცოდნა დამეხმარა პრაქტიკის კვლევის განხორციელებაში, ასევე თამარ ბრეგვაძეს, საინტერესო ლექციებისათვის.

ევროპული სკოლის ხელმძღვანელობას, სადაც მოვახერხე პრაქტიკის კვლევის ჩატარება.

ევროპული სკოლის მეხუთე კლასის მოსწავლეებს და გერმანული ენის მასწავლებელს მთვარისა ბუსკივაძეს თანამშრომლობისა და პრაქტიკის კვლევის განხორციელებაში გაწეული დახმარებისათვის.

სარჩევი

განაცხადი	i
მადლობა	ii
აბსტრაქტი	1
Abstract	3
შესავალი	4
თემის აქტუალობა	4
1. მოსმენა/მოსმენა-ყურება როგორც სამეტყველო უნარ-ჩვევა	7
1.1 სამეტყველო უნარ-ჩვევები	7
1.2 მოსმენის უნარ-ჩვევა როგორც სამეტყველო უნარ-ჩვევა ენის ათვისებისას.....	9
2. მოსმენა/მოსმენა-ყურების უნარ-ჩვევაზე მუშაობის პრობლემატიკა	11
2.1 მოსმენა/მოსმენა-ყურების უნარ-ჩვევაზე მუშაობა უცხოური ენის გაკვეთილზე..	15
2.2 მოსმენის სავარჯიშოთა ტიპოლოგია.....	17
2.3 მოსმენა/მოსმენა- ყურების სწავლება ვიდეოების დახმარებით.....	25
3. მოსმენის უნარ-ჩვევაზე მუშაობა საქართველოში. პრაქტიკის კვლევა	27
3.1 კვლევის ეტაპები	28
3.1.1 მოსმენის უნარ-ჩვევაზე არსებული პრობლემის იდენტიფიცირება მასწავლებელთან.....	29
3.1.2 მოსმენის უნარ-ჩვევასთან დაკავშირებული პრობლემის იდენტიფიცირება მოსწავლეებთან	35
3.1.3 პრეტესტი	40
3.1.4 ინტერვენციების დაგეგმვა და განხორციელება მოსმენის პრობლემის აღმოსაფხვრელად	42
3.1.5 პოსტტესტი.....	45
3.1.6 მოსწავლეების გამოკითხვა	47
3.1.7 კვლევის შეზღუდვები.....	53
3.2 კვლევის შედეგების შეჯამება და დასკვნა.....	54

3.3 რეკომენდაციები მასწავლებელთათვის მოსმენის უნარ-ჩვევაზე სამუშაოდ.....	55
ბიბლიოგრაფია	57
დანართი #1- სადიაგნოსტიკო კითხვარი	61
დანართი #2- პრეტესტი.....	62
დანართი #3- პირველი ინტერვენცია. თემა-ბინა/სახლი.....	63
დანართი #4-მეორე ინტერვენცია. თემა- სასკოლო ნივთები.....	64
დანართი #5-მესამე ინტერვენცია. თემა- ფერები.....	65
დანართი #6-მეოთხე ინტერვენცია. თემა-ფერები	66
დანართი #7- მეხუთე ინტერვენცია. თემა-ზედსართავი სახელები	68
დანართი #8- მეექვსე ინტერვენცია. თემა-ზედსართავი სახელები.....	69
დანართი #9- მეშვიდე ინტერვენცია. თემა-kaufen+Akk.....	70
დანართი #10- პოსტტესტი. თემა-Trennbare Verben (Audio)	71
დანართი #11-მოსწავლეების გამოკითხვა	72

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი იკვლევს გერმანულ ენაში მოსმენის უნარ-ჩვევაზე მუშაობის პრობლემატიკას საქართველოში დაწყებითი საფეხურის მე-5 კლასის მაგალითზე და მიზნად ისახავს მოსწავლეებში მოსმენის უნარ-ჩვევის გაუმჯობესებას ვიდეოების დახმარებით. სამაგისტრო ნაშრომი მოიცავს როგორც მოსმენა/მოსმენა-ყურების შესახებ თეორიული ინფორმაციის დამუშავებას, ასევე ემპირიულ ნაწილს, რომლის ფარგლებშიც ჩატარდა პრაქტიკის კვლევა თბილისის "ევროპული სკოლაში".

კვლევის ფარგლებში მოხდა მოსმენის უნარ-ჩვევასთან დაკავშირებული პრობლემის იდენტიფიცირება როგორც მასწავლებლის, ასევე მოსწავლეების გამოკითხვის შედეგების ანალიზის შედეგად. მასწავლებელმა კლასში მთავარ პრობლემად მოსმენის უნარ-ჩვევაზე მუშაობა დაასახელა, რომელიც დადასტურდა საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებით და ასევე მოსწავლეების გამოკითხვით, რომლის დროსაც მოსწავლეების 80%-მა მთავარ პრობლემად მოსასმენი სავარჯიშოების შესრულება მიიჩნია. პრობლემის იდენტიფიცირების ეტაპზე გამოყენებული იქნა კვლევის რაოდენობრივი (გამოკითხვა) და თვისებრივი (დაკვირვება, სიღრმისეული ინტერვიუ) მეთოდები.

კლასში არსებული პრობლემის აღმოსაფხვრელად დაიგეგმა აქტივობები მოსმენის უნარ-ჩვევის გასაუმჯობესებლად, რომლებიც ვიდეოების დახმარებით განხორციელდა, რადგან უცხოური ენის ათვისების საწყის ეტაპზე მოსწავლეებს ტექსტის გაგებაში განსაკუთრებით ეხმარებათ ვიზუალური ინფორმაცია. სხვადასხვა ვიდეოჩანაწერისა და ვიდეოფილმების გაკვეთილზე გამოყენებისას მოსწავლეებს ესმით ინფორმაციები და ამასთანავე ხედავენ შესაბამის სცენებს, რაც მათ უიოლებს ინფორმაციის გაგებას და შინაარსებში სიღრმისეულ წვდომას და ა.შ. დარგობრივ ლიტერატურაში ბოლო დროს ხშირად გამოიყენება სწორედ ამიტომ ტერმინი „მოსმენა-ყურება“ (შდრ. Schwerdtfeger, 2003; Joos, 2011). წარმოდგენილ ნაშრომზე მუშაობისას ხდებოდა, ამდენად, არა მარტო მოსმენის უნარ-ჩვევაზე არამედ მოსმენა/მოსმენა-ყურების უნარზე მუშაობაც, რადგან მოსწავლეებს დავალებების შესრულება უწევდათ სხვადასხვა სასწავლო ვიდეოების

ნახვის შემდეგ. კვლევამ აჩვენა, რომ მოსწავლეებს ვიზუალური მასალა ეხმარება, უკეთ აღიქვან ინფორმაცია და განივითარონ მოსმენა/მოსმენა-ყურების უნარ-ჩვევა. კვლევის საბოლოო ეტაპზე კი ცხადი გახდა, რომ მოსწავლეებმა არა მხოლოდ მოსმენა/მოსმენა-ყურების უნარ-ჩვევა გაიუმჯობესეს, არამედ ბევრად უფრო გაუმარტივდათ ისეთი სავარჯიშოების გაკეთება, სადაც არ იყო ვიზუალური ელემენტები და მათ მხოლოდ აუდიო მასალის მოსმენის შემდეგ უწყევდათ დავალების შესრულება.

საკვანძო სიტყვები: მოსმენა/მოსმენა-ყურების უნარ-ჩვევა უცხოური ენის გაკვეთილზე; ვიდეოჩანაწერებით მუშაობა გაკვეთილზე; სასწავლო პროცესი.

Abstract

The following work examines the problem of listening skills of working on the skills of German language in the 5th grade of primary schools in Georgia and aims the improvement of students listening skills using videos. The thesis includes the development of theoretical information of listening/viewing activity, as well as the empirical part in which the experiment was conducted in Tbilisi's "European School".

During the experiment, the problem of listening skills was identified as an outcome of analysis based on the teachers and students surveys. The major problem in the class was the ability to listen, which was also confirmed by the observation process and students surveys. Most importantly, 80% of students had difficulty performing listening exercises. During the problem identification stage, quantitative (surveys) and qualitative (observation) research methods were used.

In order to eliminate the problem in the class, the improvement of listening skills was planned by the help of visuals. In the early stages of learning foreign language it is very helpful to visualize the information. Watching educational videos on the lesson, makes the students to hear the information and see the relevant images, and this helps them to understand the information easily and deeply. The term "listening/viewing activity" is commonly used in specialized literature (Schwerdtfeger, 2003; Joos, 2011). In the process of our research, we observed not only the listening skills of the students, but also their listening/viewing activity, because they had to do the exercises after watching some educational videos. At the final stage of the study, it was clear that the students had not only improved the listening/viewing skills, but also made it easier to understand the exercises which had no visual effects. Moreover, students had to perform the given tasks based on the audio material.

Keywords:Listening/Viewing activity, Foreign language classes, Educational Videos, Educational process.